საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/7852 „20" 08 2008

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გრიგოლ ვაშაძეს

ბატონო გრიგოლ,

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნიკა გილაურმა ხელი მოაწერა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (IFC) მიღებულ წერილ-შეთანხმებას ადგილობრივი ოფისის დაარსების თაობაზე.

გიგზავნით დეპონირებისათვის ზემოაღნიშნული წერილი-შეთანხმების ორიგინალს და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება.

დანართი:

1. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილი-შეთანხმების ორიგინალი დანართებითურთ ინგლისურ ენაზე (31 გვერდი);
2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილი-შეთანხმების არაოფიციალური ქართული თარგმანი (3 გვერდი).

პატივისცემით,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 16923/2-0
"21" 08 2008
1/34 ფ.
05

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442, E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/5736 „19" 06 2008

თქვენს № _____

საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 20 მაისის №2/8435-14 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილ-შეთანხმებაზე" საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, გაცნობებთ შემდეგს:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პირველი შენიშვნის გათვალისწინებით აღნიშნული პროექტი შეთანხმებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ ცენტრთან და გათვალისწინებულია მათი შენიშვნა (წერილი თან ერთვის);
- წერილი-შეთანხმების პროექტი გადამუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენიშვნების შესაბამისად.

გთხოვთ განახორციელოთ შეთანხმების პროექტზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონი ნიკა გილაურისთვის ხელმოწერის უფლებამოსილების მისანიჭებლად საჭირო პროცედურები.

დანართი: "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილი-შეთანხმების" პროექტი ინგლისულ ენაზე და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი (6 გვერდი);

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 18 ივნისის №03/1125-08 წერილის ასლი.

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 12014/ 2-01
" 29 06 " 8
1/7
03

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16. ტელ.: 446412. ფაქსი: 457442. ელ-ფოსტა: www.mof.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

თბილისი, 0177 ალ. ყაზბეგის გამზირი 42; ტელ.: +995 32 921667, ფაქსი: +995 32 921625
ელ-ფოსტა: post@gncc.ge
www.gncc.ge

გასული № 03/1425-08
"18" 06 2008
1 ფურცელი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი მიმდინარე წლის 3 ივნისის №07-04/5107 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილ-შეთანხმებას", გაცნობებთ რომ აღნიშნულ წერილ-შეთანხმების პროექტის მე-6 აბზაცთან მიმართებით კომისიას არ გააჩნია შენიშვნები, ვინაიდან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების შესახებ კომისიის დადგენილების 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, "არაავტორიზებად პირებს, რომელთა საქმიანობა არ არის დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან, ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ საქმიანობისას საჭიროებენ რადიოსიხშირეების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია ანიჭებს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით დროებით, 1 წლის ვადით გამოყენებისათვის". აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მომსახურება უსასყიდლოა.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტერმინი "კერძო სატელეკომუნიკაციო ქსელი" შეიცვალოს ტერმინით "შიდა სატელეკომუნიკაციო ქსელი", რადგან წერილ-შეთანხმების პროექტის შინაარსი სწორედ აღნიშნულს ითვალისწინებს.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ს. ბრიტანიშუკი

1882
19.06.08.

18.06.2008.

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/3160 „02" 04 2008

თქვენს № _____

საქართველოს საგრეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გრიგოლ ვაშაძეს

ბატონო გრიგოლ,

წარმოგიდგენთ ქ. თბილისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილი - შეთანხმების პროექტს.

საქართველო IFC-ს მიუერთდა 1995 წლის 29 ივნისს, ხოლო 1998 წლიდან მისი მცირე წარმომადგენლობა განთავსებულია თბილისში მსოფლიო ბანკის ადგილობრივ ოფისში. IFC-ს საქმიანობის გაფართოებისა და გააქტიურების მიზნით კორპორაცია გამოხატავს მზადყოფნას ქ. თბილისში საკუთარი ადგილობრივი ოფისის დაარსების თაობაზე.

სავარაუდოა, რომ აღნიშნული შეთანხმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია. ამასთანავე წარმოგიდგენთ, საქართველოს საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ეკონომიკური განვითარების და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შეთანხმების ფურცელს.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, განახორციელოთ შეთანხმების პროექტზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონ ნიკა გილაურისათვის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭებისათვის საჭირო პროცედურები.

დანართი:

1. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ წერილი-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი. - 6 გვ.
2. შეთანხმების ფურცელი – 5 გვ.

№ 5703/2-01
"3" 04 8
2/45

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: www.mof.ge
16 Gorgasali Street., Tbilisi 0114, Georgia. Tel.: 446412; Fax: 457442, E-mail: www.mof.ge

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 17.12.07 წლის №2/20697-13 წერილი – 2 გვ.
4. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 04.02.08 წლის №21/3956/3-7 წერილი – 1 გვ.
5. იუსტიციის სამინისტროს 27.12.07 წლის №01/23/03-11455 წერილი – 2 გვ.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14.01.08 წლის №6/718-112 წერილი – 1 გვ.

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

„04" 02 2008 წ. № 21/3956/3-7

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 07.12.2007 წლის №07-04/14572 წერილი, რომელიც შეეხება ქ. თბილისში საერთაშორისო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ შეთანხმების პროექტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია წერილში აღნიშნული ადგილობრივი ოფისისათვის „ყოველგვარი ხარჯის გარეშე" რაიმე სახის ლიცენზიის და ნებართვის მინიჭება.

2. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ მთავრობის მიერ მოხდეს ადგილობრივი ოფისის ყველა თანამშრომელზე შესაბამისი საიდენტიფიკაციო მოწმობების გაცემა.

3. ამასთან, პროექტი ტელეკომუნიკაციისა და ფოსტის საკითხებში საჭიროებს დახვეწას „სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის" შესაბამისად.

ვახტანგ ლეჟავა

მინისტრის პირველი მოადგილე

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 04/23/03 11455
„27" 12 2007 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 7 დეკემბრის N07-04/14512 წერილით წარმოდგენილი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორის ბატონ ჯერომ სუკლალის წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსებას მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1. წარმოდგენილი წერილი თავისი ფორმით არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" ვენის 1969 წლის კონვენციის და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. საერთაშორისო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს სათაური, ჰქონდეს პრეამბულა, ძირითადი და დასკვნითი ნაწილი, იგი დაყოფილი უნდა იქნეს შესაბამისად თავებად, მუხლებად, პუნქტებად და ა.შ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სრულყოფილი სამართლებრივი დასკვნის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის წარმოდგენის შემდეგ.

2. წერილის მესამე აბზაცში აღნიშნულია, რომ მთავრობა კორპორაციის საერთაშორისო პერონალზე, მათ მეუღლეებზე და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე გააავრელებს არა ნაკლებ პრივილეგიებს, იმუნიტეტებს, გათავისუფლებებსა და შეღავათებს, რაც ვრცელდება ამ ქვეყანაში მოქმედი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალსა და დიპლომატიურ მისიებზე. როგორც წერილის მეორე აბზაცშია აღნიშნული, იგი იდება „საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის წერილობითი ხელშეკრულების" საფუძველზე, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პრივილიგიების, იმუნიტეტების და შეღავათების მინიჭება მოხდეს იმ მოცულობით, როგორც ეს განსაზღვრულია „საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის წერილობითი ხელშეკრულების" მე-6 მუხლში, რომლის თანახმად „წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე კორპორაციას მიენიჭება ის სტატუსი, იმუნიტეტი და შეღავათები, რომლებსაც განსაზღვრავს ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი".

3. წერილის მე-6 აბზაცში აღნიშნულია, რომ კორპორაციის ადგილობრივი ოფისის მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა ყოველგვარი ხარჯების გარეშე უზრუნველყოფს საჭირო ნებართვების, ლიცენზიების და სხვა უფლებების მინიჭებას, რათა ადგილობრივ ოფისს საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს მსოფლიო ბანკის ჯგუფის კერძო ტელეკომუნიკაციის ქსელი. „სალიცენზიო და სანებართვო

საქართველო, თბილისი, 0146, რუსთაველის გამზ. 30, ტელ./ფაქსი: 75-82-37, ელ. ფოსტა: ministry@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., Tbilisi, Georgia, Tel./Fax: (99532) 75 82 37, E-Mail: ministry@justice.gov.ge

მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათები (სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება) კატეგორიების მიხედვით დგინდება მხოლოდ ამ კანონით. დაუშვებელია სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებლის გადახდაზე ინდივიდუალური სახის შეღავათების დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო იქნება ზემოხსენებულ კანონში ცვლილებების შეტანა. აქვე გაუგებარია და დასაზუსტებელია რა იგულისხმება ფრაზაში „სხვა უფლებების მინიჭება“.

4. რაც შეეხება შეთანხმების პროექტის მე-10 აბზაცში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემას, ასეთს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აქვე აღსანიშნავია, რომ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაიცემა სააკრედიტაციო ბარათი ამ კანონით განსაზღვრული პირებისათვის, რომლის საფუძველზეც ისინი იმყოფებიან ქვეყანაში და კვეთენ საზღვარს.

5. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილის შინაარსის გათვალისწინებით და მის საფუძველზე შემუშავებული იქნება ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსებაზე, საქარველოს კანონმდებლობის თანახმად, საჭირო იქნება მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ და ის ძალაში ვერ შევა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერით, როგორც ეს წერილის მე-11 აბზაცშია აღნიშნული. ამავე დროს, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ხელშეკრულების ხელმოწერისათვის საჭიროა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება და სათანადო უფლებამოსილების მინიჭება ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

თინა ბურჯალიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 07/18-112 „14" 01 2008 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბ-ნ პაპუნა პეტრიაშვილს

ბატონო პაპუნა,

თქვენი 2007 წლის 7 დეკემბრის №07-04/4512 წერილის პასუხად, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ შეთანხმების პროექტს ეხება, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ეკატერინე ზღულაძე
მინისტრის მოადგილე

0114, თბილისი, გ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 272883, ფაქსი: (+995 32) 272963, ელ.ფოსტა: info@pol.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 196/14
„22" 04 2008

დასკვნა

„საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ შეთანხმების" პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ შეთანხმების" პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

შეთანხმების ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებში, 2007 წლის 20 ივნისის ნაცვლად ჩაიწეროს „სპეციალიზირებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების" კონვენციასთან შეერთების ზუსტი თარიღი 2007 წლის 18 ივლისი.

შეთანხმების მე-3 აბზაცში: „მთავრობის" ნაცვლად, ჩაიწეროს: „საქართველოს მთავრობა".

შეთანხმების მე-8 აბზაცში: აღნიშნული უფლება, რომელიც ეხება IFC-ის ადგილობრივი ოფისის თანამშრომელთა კმაყოფაზე მყოფ პირებისათვის შრომის უფლების მინიჭებას, არ არის გათვალისწინებული როგორც "სპეციალიზირებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების" კონვენციით, ასევე „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელშეკრულებით".

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

შეთანხმების მე-3 აბზაცი განასხვავებს საერთაშორისო და ადგილობრივად შერჩეულ კადრებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეთანხმების ტექსტში, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს ვრცელდება თუ არა პრივილეგიები და იმუნიტეტები მხოლოდ საერთაშორისო პერსონალზე თუ ის ასევე ვრცელდება ადგილობრივად შერჩეულ კადრებზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად „ქ. თბილისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივი ოფისის დაარსების შესახებ" შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. შესაბამისად აღნიშნული შეთანხმების პროექტში უნდა განისაზღვროს შეთანხმების ძალაში შესვლის წესი.

შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი ტექსტი შეიცავს მთარგმნელობითი ხასიათის ხარვეზებს.

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

გრიგოლ ვაშაძე
მინისტრის მოადგილე